ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2985281

ნომერი: AR1460992

თარიღი : 02.12.2016

გაცემის თარიღი : 12.12.2016

გაცნობის თარიღი : 12.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 86 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ ბექაია პ/ნ 01025007780
- თბილისი დიდი დიღომი გ.ბრწყინვალეს ქ. N 5 ბ. 43

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31.08.2016 წლის #2809026 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 02.12.2016

წლის #AR1460992 განცხადებით მომართა ვლადიმერ ბექაიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31.08.2016 წლის #2809026 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 31.08.2016 წლის #2809026 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №86-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკ. კოდი №01.14.04.010.006), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 01 სექტემბრიდან 2017 წლის 01 მარტის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა: შპს „ეი ჯი კომპანი“. სამსახურში წარმოდგენილია შპს „ეი ჯი კომპანი“-ის დირექტორის მიერ, ვლადიმერ ბექაიას სახელზე გაცემული, შესაბამისი მინდობილობა (05.01.2016 წ. #05/16).
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 31.08.2016 წლის #2809026 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, უთითებს, რომ სურს 31.08.2016 წლის #2809026 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაცვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობი 525.7 კვ.მ-ის ნაცვლად - 526.6 კვ.მ. კომერციული ფართობი 252.8 კვ.მ-ის ნაცვლად - 252.9 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 2022.2 კვ.მ-ის ნაცვლად - 2024.3 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 521.2 კვ.მ-ის ნაცვლად - 524.0 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 377.0 კვ.მ-ის ნაცვლად - 358.6 კვ.მ. შესაბამისად, საერთო ფართობი: 3698.9 კვ.მ-ის ნაცვლად - 3686.4 კვ.მ.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31.08.2016 წლის #2809026 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობი - 526.6 კვ.მ. კომერციული ფართობი - 252.9 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი - 2024.3 კვ.მ. საზაფხულო ფართობი - 524.0 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 358.6 კვ.მ. საერთო ფართობი: - 3686.4 კვ.მ. სამსახურის 31.08.2016 წლის #2809026 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31.08.2016 წლის #2809026 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.